ისტორიული ცნებები და ტერმინები

ტიტულები სახელმწიფო და საზოგადოება

PDF generated using the open source mwlib toolkit. See http://code.pediapress.com/ for more information.
PDF generated at: Fri, 02 Nov 2012 21:23:59 UTC

შინაარსი

სტატიები

ტიტულები და თანამდებობები 1

ამირა 1
აზნაური 2
ბარონი 5
გრაფი 6
ვეზირი 7
თავადი 8
იმამი 10
იმპერატორი 10
მეფე 11
სულთანი 12
ფაშა 13
შაჰი 13
ხალიფა 14
ცარი 15

სახელმწიფო და საზოგადოება 17

ჯარი 17
ლაშქარი 18
ომი 18
ოკუპაცია 19
ეთნოსი 20
სახელმწიფო 20
ცივილიზაცია 21

მინიშნებები

სტატიის წყაროები და ავტორები 25
Image Sources, Licenses and Contributors 26

ლიცენზიის სტატია

ლიცენზია 27

ტიტულები და თანამდებობები

ამირა

სასამართლო ავღანეთის დურანიულ იმპერიაში

ამირა (არაბულად: أمير *მეთაური, მმართველი, თავადი*) არაბულ, შუა აზიის და ჩრ. აფრიკის მუსლიმ ხალხებში სათავადაზნაურო ტიტულია.

- თავდაპირველად იგი, როგორც საპატიო ტიტული, ენიჭებოდა მუჰამედის შთამომავლებს (მისი ქალიშვილის ფატიმა ზაჰრას შტო). საუკუნეების განმავლობაში ტიტულმა პირვანდელი დატვირთვა შეიცვალა და როგორც სათავადაზნაურო ტიტული, გამოიყენებოდა ბედუინთა მეთაურების (არაბეთი) და წარჩინებულთა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ (ოტომანთა იმპერია).
- ფორმალურად სიტყვა "ამირა" გამოიყენება მექას მოსალოცად (ჰაჯი) მიმავალ მუსლიმთა ჯგუფის მეთაურის (*"ამირ ჰაჯი"*) აღსანიშნავადაც.
- *"ამირ ალ-მუმინინ"* ("მართლმორწმუნეთა მეთაური") ხალიფა ომარის შემდეგ ხალიფათა საპატიო ტიტულად იხმარებოდა.
- *"ამირ ალ-უმარა"* (*"მეთაურთა მეთაური"*) აბასიდების მმართველობის ხანაში მხედართმთავრის ტიტული, ხოლო ოტომანთა იმპერიაში კი "გუბერნატორის" შესატყვისი იყო.
- *"ამირ ალ-ბაჰრი"* (*"ზღვათა მეთაური"*, ძველქართულად *"ამირბარი"*) საზღვაო ძალების მეთაურის ტიტული იყო. სიტყვა "ადმირალი" აქედან მომდინარეობს.

რესურსები ინტერნეტში

- WorldStatesmen [1] რელიგიური ორგანიზაციები - მუსლიმანური ქვეყნები

მინიშნებები

[1] http://www.worldstatesmen.org/Religious_Organizations.html#Caliphate

აზნაური

აზნაური, ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის წარმომადგენელი. ტერმინი უცხოური წარმოშობისაა და ქართულად გაფორმებულ სიტყვად არის მიჩნეული. ზოგიერთი მკვლევარი — სპარსულ „ზანას“ (გვაროვნობათა კავშირი, ერი) უკავშირებს, ზოგი — სპარსულ „აზნას“ (წარჩინებული).

ეტიმოლოგია

თავდაპირველად "აზნაური", ჩანს, "თავისუფალს" ნიშნავდა, უძველეს ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები) ამ მნიშვნელობით არის ნახმარი. "აზნაურთა", "დიდ-დიდ აზნაურთა" და "უაზნოთა" არსებობა ქართლში უკვე V საუკუნის II ნახევრის ორიგინალურ ძეგლში "შუშანიკის მარტვილობაშია" დადასტურებული. იმდროინდელ საქართველოში არსებობდა წოდებრივი ჯგუფები, კერძოდ, მემკვიდრეობითი პრივილეგიებოთ აღჭურვილი მემამულეთა წოდება. სახელწოდება "აზნაური" მომდევნო პერიოდში ყველა წარჩინებულზე გავრცელდა და სწორედ ამ წოდებას აღნიშნავდა. ასე რომ ქართული "აზნაური" დაახლოებით იმასვე აღნიშნავდა, რასაც დასავლეთ ევროპაში ნობილიტეტი (წარჩინებული). აზნაურთა წოდების შინაგანი აღნაგობა სულ უფრო რთულდებოდა. რაც შეეხება "ტახტის აზნაურს", მას შეესაბამებოდა დასავლეთ ევროპული ტიტული "Count" (რუსული "Граф"). "სათავადო აზნაური"-ს (ისევე როგორც "ცალმოგვი აზნაური"-ს) შესატყვისი დასავლეთ ევროპული ტიტული კი გახლდათ "Chevalier".

კლასიფიკაცია

IX საუკუნიდან მოყოლებული და შემდეგ, ფეოდალური მონარქიის ხანაში, X-XIII საუკუნეებში ეს სტრუქტურა ასე წარმოგვიდგა: ყველაზე მაღალ წრეს შეადგენდნენ "დიდებულნი აზნაურნი" ან მარტივად "დიდებულნი" - მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია. დიდებულად იწოდებოდა ისეთი აზნაური, რომელიც დიდი მამულისა და მრავალრიცხოვან ყმათა მფლობელი იყო და ამიტომ ესა თუ ის დიდი თანამდებობაც ეჭირა. ასეთ აზნაურს საკუთარი ციხეც ჰქონდა. ამდენად "დიდებული აზნაური" და "ციხოვანი" ანუ "ციხის უფალი აზნაური" მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე იყო. იყვნენ აგრეთვე "უციხო აზნაურნი" - საშუალო და წვრილი აზნაურობა. რადგან აზნაურული პრივილეგიები მემკვიდრეობითი ხასიათისა იყო, ამიტომ ამ წოდების დიდი უმრავლესობა "მემამულე", "ნათესავით" (ე.ი. მემკვიდრეობითი) აზნაურებისაგან შედგებოდა. შედარებით იშვიათად შეიძლებოდა "გააზნაურებაც", განსაკუთრებით მეფის სამსახურში დაწინაურების გზით. ამგვარად ჩნდებოდა "მსახურეულ აზნაურთა" ჯგუფი ("ტაძრეულნი აზნაურნიც" ალბათ იგივენი იყვნენ), რომელიც "დიდგვაროვანთა" "მსახურეული სახლებისაგან" განსხვავებით ახლად იძენდა წოდებრივ პრივილეგიებს. ამ წრეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აბსოლუტიზმისადმი მიდრეკილების მქონე მეფეების ცენტრალისტური პოლიტიკისათვის. მემკვიდრეობითი მსხვილი მემამულე არისტოკრატიისა და საშუალო და წვრილი აზნაურობის შინაკლასობრივი ანტაგონიზმი განსაკუთრებით მწვავდებოდა მაშინ, როცა დიდგვაროვან ფეოდალებს ეს "უგვარო" და ახლად აღზევებული გააზნაურებული მდაბიონი უპირისპირდებოდნენ.

სამეფო სამსახურში დაწინაურება მეფეთა "წყალობისა" და "ბოძების" გზით იწვევდა, პირველ ყოვლისა, მიწის, აგრეთვე ფეოდალური მფლობელობის სხვა ობიექტის იმ მატერიალური საფუძვლის ზრდას, რაზედაც დამყარებულია სოციალური-პოლიტიკური კეთილდღეობა და ბატონობა ფეოდალურ საზოგადოებაში. თავდაპირველად ამ "საბოძვრებს" პირობითი სამფლობელოს, "საკარგავის", ხასიათი ჰქონდა და მათი მფლობელნიც "მოსაკარგავე" აზნაურებად იწოდებოდნენ. სოციალური რაობით ამ ფენას შეესაბამება XIV-XVII საუკუნეები რუსული "დვორიანსტვო". მოსაკარგავე აზნაურები გამუდმებით ცდილობდნენ სამფლობელოს პირობითი ხასიათი შეეცვალათ და სამემკვიდრეოდ ექციათ. ჩვეულებრივ ეს ტენდენცია მიზანს აღწევდა: იმკვიდრებდნენ არა მარტო მიწებს, არამედ პირობითი მფლობელობის სხვა ობიექტებსაც, მაგ., სახელმწიფო თანამდებობებს. ასე ყალიბდებოდა ახალი მსხვილი მემამულე არისტოკრატია, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ძველი დიდგვარიანების პოზიციას იჭერდა.

ისტორია

აზნაურთა წოდების სხვადასხვა ფენის შინაკლასობრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო, ე. წ. პატრონმყობა, რომელსაც საფუძვლად აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობა ედო. პატრონყმობის ურთიერთობა ქმნიდა აზნაურის დამოკიდებულებას არა მარტო მეფისაგან არამედ აზნაურისაგანაც. სათანადო ფაქტებს უკვე ადრინდელი ფეოდალურ ხანაშივე ვხვდებით. აზნაურთა წოდების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესოა თავადთა ინსტიტუტის საკითხი. ძველ ხანაში თავადები, როგორც ჩანს, მხოლოდ აზნაურთა საგვარეულოების თავკაცები იყვნენ, მაგრამ XIV-XV საუკუნებში ისინი უკვე ჩამოყალიბდნენ ცალკე წოდებად, რომელიც ფეოდალურ იერარქიაში აზნაურებზე მაღლა მოექცა. თავადთა ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლის შემდეგ აზნაურთა წოდება შედარებით დაკნინდა და დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგა.

XVI-XVII საუკუნეებიდან აზნაურობა თანდათან მოექცა მეტ-ნაკლებად მყარ დამოკიდებულებაში სამეფო სახლთან, ეკლესიასა და თავადებთან. ამ გზით აზნაურთა სამი ჯგუფი ჩამოყალიბდა. სამეფო აზნაურები (იგივე "ტახტის აზნაურები") მეტი პრივილეგიებითა და გავლენით სარგებლობდნენ, ვიდრე საეკლესიო და სათავადო აზნაურები. დამოკიდებულების საფუძველი ყველა შემთხვევაში ერთი იყო - აზნაურს ბატონის მამული ეჭირა. აზნაურს ბატონისაგან წასვლის უფლება ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ მას მიწასა და იქ დასახლებულ ყმებზე უარს იტყოდა. ბატონის უფლებები აზნაურის მიმართ დიდი იყო. ბატონს შეეძლო აზნაური მზითვადაც გაეცა. მეფეთა მიერ აზნაურის გაჩუქება ან მზითვად გატანება საეკლესიო და სათავადო აზნაურების გაჩენის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ამ დამოკიდებულების წარმოშობის მეორე უმნიშვნელოვანესი პირობა იყო აზნაურთა მცირემემამულიანობა ან უმამულობა, რა მათ აიძულებდა მსხვილ საეკლესიო თუ საერო მიწისმფლობელთა მფარველობისათვის მიემართათ. უმთავრესად მამულის სიდიდისა და ყმათა რიცხვის მიხედვით, ნაწილობრივ კი შთამომავლობის მიხედვითაც, აზნაურები სამ ხარისხად განიყოფებოდნენ, კერძოდ, სისხლის ფასის მხრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იცნობს დიდს(ანუ გადიდებულს), შუასა და ცალმოგვ აზნაურს. პირველის სისხლს აფასებს 192, მეორისას - 96, მესამისას - 48 თუმნად. აზნაურის საგვარეულოს გაყოფა მამულის დაქუცმაცებას მოასწავებდა და ამ იერარქიულ კიბეზე ჩამოქვეითების მიზეზი ხდებოდა.

რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველ აზნაურთა მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მეფის ბიუროკრატიული მთავრობა ფორმალურად თითქოს იჩენდა მიდრეკილებას ქართველ თავადაზნაურობა განეხილა ისეთივე სოციალურ მოვლენად, როგორსაც ეს კლასი თვით რუსეთში წარმოადგენდა (ამას მოითხოვდა აგრეთვე 1783 წლის ტრაქტატის სათანადო მუხლი), მაგრამ არსებითად ეს საკითხი ძალთა რეალურ განლაგებასა და საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ცარიზმს ახლად დაპყრობილ ქვეყანაში ეს კლასი თავის სოციალურ დასაყრდენად მიაჩნდა და ცდილობდა მის ისეთ ორგანიზებას, რომ ყველაზე საიმედო ელემენტები გამოეაშკარავებინა.

1803 მთავარმართებელ პ. ციციანოვის პროექტის თანახმად, ქართლ-კახეთში დაარსდა თავადაზნაურობის წარმომადგენლობით ორგანოები - სამაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საკრებულოები. სათანადო "წესებში" რელიეფურად ჩანდა მოვლენის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება: საარჩევნო და წარმომადგენლობითი უფლება, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც სრ მისცეს იმ აზნაურებს, "რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი საკუთრება და არავითარი შემოსავალი". ცოტა გვიან დადგა საკითხი მსხვილ ფეოდალთაგან დამოკიდებულ აზნაურთა პირადი და სამამულო უფლებების შესახებ. საკითხი ეხებოდა საეკლესიო და სათავადო აზნაურებს. სამეფო აზნაურები მექანიკურად ჩაირიცხნენ სახაზინო უწყებაში. 1811 წელს მთავრობამ საეკლესიო აზნაურებიც მამულითა და ყმით სახაზინო უწყებაში გადარიცხა. ამასთან სახაზინო მიწებზე მათი გადასახლების განკარგულება გასცა.

ბევრად უფრო რთული იყო თავადთაგან დამოკიდებულ აზნაურთა საკითხი. მთავარმართებელ ნ. რტიშჩევია აზრით, სათავადო აზნაურები მდაბიოებად უნდა ჩათვლილიყვნენ და არ უნდა ესარგებლათ რუსეთის აზნაურთა პრივილეგიებით. 1816 რტიშჩევს უცდია კიდეც ამ შეხედულების განხორციელება. შემდეგ მთავრობამ კურსი შეცვალა. 1820 წელს მთავარმართებელ ა. ერმოლოვის წინადადებით, "საქართველოს უმაღლესი მთავრობის საზოგადო კრებამ" განიხილა სათავადო აზნაურთა საკითხი და გამოიტანა დასკვნა -

თავადთა ყმა აზნაურები სამეფო აზნაურთა ტოლნი არიანო. მწვავედ დადგა ამ აზნაურთა მამულების საკითხი. 1825 "საქართველოს უმაღლესი მთავრობის საზოგადო კრებამ" ერმოლოს წარუდგინა მოსაზრებები ამის შესახებ, სახელდობრ:

- ა) თავადებს უცილობელი უფლება უნდა ჰქონოდათ იმ მამულზე, რომლითაც აზნაური თავადის ყმობაში შევიდა მეფეთა წყალობის სიგელით, აგრეთვე თვით თავადის მიერ აზნაურისთვის ნაბოძებ და აზნაურის მიერ ომავე თავადის სხვა აზნაურისგან ნასყიდ ან მზითევში მიღებულ მამულებზე.
- ბ) წასვლის შემთხვევაში აზნაური უტოვებდა თავადს ზემოხსენებული სახის მამულს მასზე მოსახლე გლეხებით;
- გ) აზნაურთა უცილობელ საკუთრებად რჩებოდა თავადის ყმობაში ყოფნისას მეფის მიერ პირადად მისთვის ან მისი წინაპრებისათვის ნაწყალობევი და აგრეთვე თავისი ბატონისაგან ან უცხო მფლობელისაგან ნაყიდი მამული.

ცენტრალური მთავრობის შეხედულება ამ საკითხზე გამომჟღავნდა მაშინ, როცა სენატმა თავად ორბელიანებისა და მათი ყმის აზნაურ ყაითმაზაშვილის საქმის გარჩევისას გამოთქვა მოსაზრება, რომ ყაითმაზაშვილების დამოკიდებულება ორბელიანებისაგან "ფეოდალური დამოკიდებულების სახე" იყო და არა "მიმაგრება". უფრო ზოგადი სახე ამ შეხედულებამ მიიღო 1833, როდესაც ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომ "ხსენებული აზნაურები თავადების დამოკიდებულებაში არ უნდა იმყოფებოდნენ და რომ ისინი უნდა მიჩნეულ იქნენ სამეფო აზნაურთა თანასწორად". ამ კანონმა სათავადო აზნაურები ყმობისაგან გაათავისუფლა და ქართველ თავადებთან ერთად რუსეთის "დვორიანსტვოს" გაუთანასწორა. საადგილმამულო მფლობელობის საკითხს იგივე დოკუმენტი შეწმდეგნაირად წყვეტდა: თავადებს მათთვის მეფის მიერ ნაწყალობევ აზნაურთა მამულზე უცილობელი უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებოდათ, თუ წყალობის სიგელში სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული, რომ აზნაური ნაბოძებია მამულიანად.

სხვა შემთხვევაში მამული აზნაურს უნდა დარჩენოდა. ასევე აზნაურს უნდა მიკუთვნებოდა მეფის მიერ ნაბოძები ან თვითონ მის მიერ ნაზიდი მამული. უშვილობის შემთხვევაში ნამზითვი დარჩებოდა ქალის ნათესაობას. თავადის მიერ ნაჩუქარი მამული აზნაურს მხოლოდ თავადისავე სურვილით შეიძლებოდა მიეღო. თავადმა განთავისუფლებულ აზნაურს უნდა აუნაზღაუროს ბატონის მიწაზე ბატონისავე ნებართვით გაშენებული ბაღ-ვენახის და სხვადასხვა ნაგებობათა ღირებულება. თავადისაგან განთავისუფლებული აზნაური სახაზინო გლეხთა წოდებაში ჩაირიცხებოდა, სანამ აზნაურობას ფორმალურად დაამტკიცებდა. ამას გარდა, მას სახაზინო მიწაც მიეცემოდა, განსაკუთრებით ღარიბ აზნაურს ეს მიწა შემდეგაც არ ჩამოერთმეოდა. თავადებსა და მათგან განთავისუფლებულ აზნაურთა შორის საადგილმამულო დავის გასარჩევად 1836 დაარსდა ადგილობრივი "საშუამავლო" სასამართლოები. მაგრამ რადგან ეს სასამართლოები მთლიანად ტავადთა გავლენაში მოექცნენ და აზნაურები განუწზვეტლივ ჩიოდნენ მათი უმოქმედობის შესახებ, მათ ნაცვლად 1846 ქ. გორში დაარსდა "განსაკუთრებული დროებითი კომისია". ამგვარად, რუსეთის თვითმპზრობელობამ ეს მნიშვნელოვანი საკითხი თავისი ბუნების შესაფერად და საკმაოდ ოსტატურად გადაჭრა.

მთავრობის წვრილი აზნაურეობის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს უპირისპირებდა უკმაყოფილებას, რომელსაც ძველი პოლიტიკური უფლებების დაკარგვის გამო სულ უფრო მეტად ამჟღავნებდა ქართველი მსხვილი მემამულე არისტოკრატია. შემთხვევითი არ არის, რომ მტავრობის სათანადო აქტი გამოქვეყნდა 1832 წლის შეთქმულების მომდევნო წელსვე. საყურედღებოა ისიც, რომ 1833 პეტერბურგის მმართველი წრეები ამ მხრივ მეტ რადიკალობას იჩენდნენ, სიდრე ადგილობრივი ხელისუფალნი ოციანი წლების დამდეგს. "დიდგვაროვანთა" მიმართ თვითმპყრობელობა მაინც ერიდებოდა უხეშ ზომებს, რადგან მისი მიზანი იყო ამ ჯგუფის ერთგვარი "დატუქსვა" და არასრული გარიყვა. აზნაურთა განთავისუფლებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება თავადებს სახელმწიფო სამსახურით შეეძლოთ. მთავრობა მათ ამისათვის ფართო შესაძლებლობას უქმნიდა. მთავრობა კიდევ უფრო დიდ სიუხვეს იჩენდა გლეხობის ხარჯზე ორივე წოდების გულის მოსაგებად: XIX საუკუნის I ნაევარში თვითმპყრობელობამ საქართველოში ზედიზედ გამოსცა რამდენიმე განკარგულება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გლეხობის

სრულ დამონებას. გლეხებს აეკრძალათ სასამართლოში ბატონზე საჩივრის შეტანა და სასამართლოს საშუალებით თავისუფლების ძიება. ბატონებს კი, პირიქით, უფლება მიენიჭათ მკაცრად გასწორებოდნენ ურჩ ყმებს. ამ ღონისძიებებით ადგილობრივი გაბატონებული კლასების ყურადღება პოლიტიკური სფეროდან სოციალურ სფეროში იქნა გადატანილი. ერთგვარი შინაკლასობრივი ანტაგონიზმი თავადებსა და აზნაურებს შორის შემდეგშიც იჩენდა თავს.

აზნაურობის ეკონომიკური საფუძვლის - ბატონყმური მეურნეობის - რღვევამ ამ წოდების შეუჩერებელი დაცემა გამოიწვია. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აზნაურობა საბოლოოდ გააღატაკა. ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ მოსპო აზნაურობა, როგორც მემამულეთა კლასის ნაწილი და პრივილეგიური წოდება.

ლიტერატურა

- *ჯანაშია ს.,* ქსე, ტ. 1, გვ. 214-215, თბ., 1975

ბარონი

ბარონი (< გვიანდ. ლათ. baro - გერმანული წარმოშობის სიტყვა, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაა: ადამიანი, მამაკაცი), დასავლეთ ევროპაში მეფის უშუალო ვასალი. მოგვიანებით თავადაზნაურთა ტიტული. ინგლისის უმაღლეს თავადაზნაურობის იერარქიაში ბარონს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. უფრო ფართო გაგებით, ბარონს უწოდებენ ინგლისის თავადაზნაურობის ზედაფენას, ლორდთა პალატის მემკვიდრეობითს წევრებს. საფრანგეთსა და გერმანიაში ეს ტიტული უფრო დაბლა იდგა, ვიდრე გრაფისა. რუსეთში პეტრე I-მა შემოიღო ბალტიისპირეთის გერმანელ თავადაზნაურობის ზედაფენის წარმომადგენელთათვის.

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 215, თბ., 1977 წელი.

გრაფი

გრაფი (*გერმ.:* Graf, *ლათ.:* Comes, *ინგლ.:* Earl, *ფრანგ.:* Comte, *იტალ.:* Conte) ევროპული არისტოკრატული ტიტულია. სახელწოდება "გრაფი" გერმანული ენიდანაა ქართულში შემოსული. ტერმინის ეტიმოლოგია:

გერმანული ენა - "გრაფი" (Graf)

ძველი ლიტერატურული გერმანული ენა - "გრაფიო", "გრაფო" (Grafio, Gravo)

სავარაუდოდ საშუალო ლათინური ენა - "გრაფფიო" (Graffio)

ბიზანტიის ხანის ბერძნული ენა - "გრაფეუს", "სუგგრაფეუს" (□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□□

ბერძნული "გრაფეუს" ითარგმნება, როგორც: "ის, ვინც საბჭოს კრებს". გვიანრომაულ ხანაში ლათინური "კომეს" ეწოდებოდა მაღალი რანგის საიმპერიო საფინანსო საქმეთა მოხელეს (*ლათ.:* comes largitionum).

მეროვინგების და ფრანკების სამეფოს პერიოდში გრაფი სამეფო სახელოს მატარებელი პიროვნება იყო, რომელიც რაიმე ადმინისტრაციულ ერთეულში (საგრაფო, გაუ) ხელისუფლებით იყო აღჭურვილი და გარკვეულ სფეროში (მარკა, სამეფო ციხესიმაგრე, სამეფო სასახლე/პალატი, სამეფო დომენი) მეფისნაცვალს წარმოადგენდა. თავდაპირველად გრაფები სამხედრო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, შემდგომში ამას დაემატა სასამართლო, საფინანსო და ადმინისტრაციული ძალაუფლება. გრაფის ინსტიტუტი ფრანკების სამეფოდან გავრცელდა საფრანგეთში, ინგლისში (ქაუნტი), ესპანეთში, იტალიაში და უნგრეთში (კომიტატი). XI-XII საუკუნეებში გრაფის ინსტიტუტი სამოხელეო ინსტიტუტიდან საგვარეულო-არისტოკრატულ ტიტულარულ ინსტიტუტად გადაიქცა. ასე რომ გვიან შუა საუკუნეებში გრაფი, როგორც მოხელე მხოლოდ მემკვიდრეობითი არისტოკრატი შეიძლება ყოფილიყო.

გერმანული არისტოკრატია იყოფოდა 2 კლასად: მაღალ და დაბალ არისტოკრტებად. გრაფები მაღალი არისტოკრატიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ. გრაფის მეუღლე იყო "გრაფინია" (*გერმ.:* Gräfin), ვაჟები ასევე "გრაფებად" იწოდებოდნენ, ხოლო გაუთხოვარი ქალები "კომტესა"-ად (*გერმ.:* Komtess). ზრდილობიანი მიმართვის ფორმები იყო:

- "მაღალკეთილშობილებავ" (*გერმ.:* Hochwohlgeboren) - დაბალი არისტოკრატიიდან წარმომავალი გრაფები, რომლებიც მემკვიდრეობით ფეოდს არ ფლობდნენ.
- "უგანათლებულესობავ" (*გერმ.:* Erlaucht) - მაღალი არისტოკრატიიდან წარმომავალი გრაფები, რომლებიც მემკვიდრეობით ფეოდს ფლობდნენ.

გერმანულ სფეროში არსებობდა ე.წ. "მეორეხარისხოვან გრაფის" ტიტულიც, რომლის მიხედვითაც მხოლოდ საგრაფო ფეოდის მფლობელი და შემდგომში მისი მემკვიდრე, ურავლეს შემთხვევაში უფროსი ვაჟი, (*იხ.: ფიდეი კომისუმ*) რჩებოდა გრაფად, ხოლო დანარჩენი მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილი შვილები ბარონის ტიტულს ატარებდნენ. 1919 წელს გერმანიაში წოდებების გაუქმების შემდეგ ბევრმა "მეორეხარისხოვანმა გრაფებმა" გრაფის ტიტულის, როგორც გვარის შემადგენელი ნაწილის ტარების უფლება დაკარგეს.

გრაფის ტიტული არსებობდა ცარისტულ რუსეთშიც. ფეოდალურ საქართველოში მას შეესაბამებოდა ტახტის (სამეფო) აზნაურის წოდება.

ვეზირი

ვეზირი, *ვაზირი* (არაბ. وزير[1] - ვაზირუნ, მინისტრი), მინისტრებისა და დიდმოხელეთა ტიტული მრავალ მუსლიმანურ სახელმწიფოში.[2][3] The word derived from the Semitic root *W-Z-R* ('to help');[1][4] ვეზირის სახელო პირველად გვხვდება სასანიანთა სპარსეთის სახელმწიფო წყობილებაში, საიდანაც იგი გადაიღეს აბასიანთა დინასტიის არაბმა ხალიფებმა. ვეზირს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მნიშვნელობა და ფუნქციები ჰქონდა. ზოგ ქვეყანაში რამდენიმე ვეზირი იყო, ზოგან კი — ერთი (სახალიფოში, სელჩუკთა სამეფოში). ზოგჯერ ვეზირად რომელიმე პროვინციის გამგებელიც იწოდებოდა. ოსმალეთის იმპერიაში დიდი ვეზირი სათავეში ედგა მთავრობას, სულთნის სახელით გამოსცემდა ფირმანებს, ხელ აწერდა საზავო ხელშეკრულებას.

ვეზირის სტანდარტი ოსმალეთის იმპერიაში

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ვეზირი ხელმძღვანელობდა ცენტრალური სახელმწიფოს მმართველობის ერთ-ერთ უწყებას (სამხედრო, საპოლიციო, საფინანსო-სამეურნეო და სხვა). სულ ექვსი ვეზირი იყო: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო უფროსი ვეზირი - სავეზიროს თავმჯდომარე. პირველი პირი მეფის შემდეგ. დანარჩენები იყოფოდნენ „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფებად. პირველი ჯგუფი დიდი დარბაზობის, ვაზირობისა და პურობის დროს მეტი უპირატესობით სარგებლობდა, ვიდრე მეორე. ვეზირთა ინსტიტუტის არსებობდა დამოწმებულია გიორგი V-ის სამართალში.

XVI საუკუნიდან ტერმინი „ვეზირი“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. „ვეზირი“ ეწოდება მმართველობის ცენტრალური აპარატის ყველა მოხელეს; ამასთან, საქართველოს სამეფო-სამთავროებში მეფისა თუ მთავრის კარზე დაწესდა თანამდებობა ერთი ვეზირისა, რომელიც მეფის პირველი მოხელე იყო. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ვეზირი, ვახტანგ მეფის დასტურლამალის მიხედვით, ირანის საოკუპაციო ხელისუფლების მოხელეა ქართლის სამეფო კარზე. XVIII საუკუნეში, ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ, ვეზირის სახელომ თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა და იგი მოისპო.

ლიტერატურა

- *გაბაშვილი ვ.,* დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13, გვ. 195-198;
- *მისივე,* სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, «მიმომხილველი», 1951, ტ. 2, გვ. 131-136;
- *სურგულაძე ი.,* საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 361-379;
- *ჯავახიშვილი ივ.*, წგნ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928, გვ. 116-124;
- *სურგულაძე ი.*, ქსე, ტ. 4, გვ. 345, თბ., 1979

რესურსები ინტერნეტში

- Etymology OnLine [5]
- Royal Ark, dynasties in historical context - see each muslim nation quoted in this article, often in the section 'Glossary' [6]
- WorldStatesmen - click on each Islamic present state [7]

სქოლიო

[1] Vizier | Define Vizier at Dictionary.com (http://dictionary.reference.com/browse/vizier). Dictionary.reference.com. წაკითხვის თარიღი: 2010-03-12.

[2] http://www.answers.com/topic/vizier#Dictionary_d

[3] http://www.wordnik.com/words/vizier

[4] Goyṭayn, Šelomo D.. *Studies in Islamic history and institutions* (http://books.google.com/books?id=Zc0UAAAAIAAJ&pg=PA170&dq=Vizier+wzr&cd=5#v=onepage&q=Vizier wzr&f=false). წაკითხვის თარიღი: 2010-04-23.

[5] http://www.etymonline.com/index.php?search=vizier&searchmode=none

[6] http://4dw.net/royalark/

[7] http://www.worldstatesmen.org/

თავადი

თავადი, ფეოდალური კლასის ზედაფენის წარმომადგენელი XV—XVIII საუკუნეებში საქართველოში, აზნაურთაგან განსხვავებული ცალკე წოდება.

XV საუკუნამდე ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთა საერთო სახელი აზნაური იყო. აზნაურთა ზედა ფენას დიდებული აზნაურები (დიდებულები), ხოლო ქვედა ფენას აზნაურები შეადგენდნენ. „თავადი“ წარმოდგება სიტყვა „თავისაგან“ და ნიშნავს უფროსს. XI—XIV საუკუნეებში ქართულ წყაროებში გვხვდება გამოთქმები „თავადნი კაცნი“, „თავადნი სამეფოსანი“, „თავადი სპათა“, „ვაჭართა თავადი“ და სხვა. ამ შემთხვევებში თავადი უფროსს, თავკაცს ნიშნავს. იმავე დროს თავადი დიდებულის სახლის უფროსსაც უნდა რქმეოდა.

თავადთა წოდების წარმოშობა დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითებასა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობასთან, რის შედეგადაც მოხდა დიდი ცვლილება საადგილმამულო ურთიერთობაში: სახელმწიფო ტერიტორიული და ადმინისტრაციული ერთეულები მეფე-მთავრებისა და მსხვილი ფეოდალების მამულებად იქცა, შეუვალობია მნიშვნელოვნად გადართოვდა და გაღრმავდა, წინ წამოიწია კერძოუფლებრივი საწყისი.

თავადი დიდებულის სოციალური მემკვიდრეა. ზოგიერთი ფეოდალური გვარი, რომელიც XV საუკუნამდე დიდებული იყო, XV საუკუნიდან თავადად იწოდებოდა. XV საუკუნის შემდეგაც წყაროებში თავადი და დიდებული ზოგჯერ ერთსა და იმავეს ნიშნავდა.

თავადები საქართველოში მეფე-მთავართა, დედოფალთა და ბატონიშვილთა ვასალები იყვნენ. თავის მხრივ მათ ვასალებად ჰყავდათ აზნაურები. თავადის სამფლობელო — სათავადო, შედგებოდა ნაწყალობევი, ნასყიდი და სხვა სახის ყმა-მამულისაგან, რომელიც თავადს „სამკვიდროდ, სამამულედ, უცილობლად და ჴელშეუვლად“ ჰქონდა განსხვისების უფლებითა და იმუნიტეტით.

თავადის წოდებრივი უფლებები ვრცელდებოდა მისი სახლის ყველა წევრზე და გადადიოდა მემკვიდრეობით. მეფეს ბეითალმანის უფლება ჰქონდა — ამოწყვეტილ თავადთა მამული მეფის საკუთრებაში გადადიოდა. ყოველ ახალ მეფეს თავადის სამფლობელოს განახლების უფლება ჰქონდა, მაგრამ გვიანდელი საშუალო საუკუნეებში წყალობის განახლების ფორმალური ხასიათი მიეცა. XVI—XVII საუკუნეებში, როცა ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო, მნიშვნელოვნად გაიზარდა თავადების ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე, მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ხშირად ისინი მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, აწყობდნენ შეთქმულებებს და ზოგჯერ პირადი სარგებლობისთვის უცხოელ

დამპყრობლებსაც კი ეხმრობოდნენ. ზოგი თავადი (არაგვის, ქსნისა და რაჭის ერისთავები, აბაშიძეები და სხვა) ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთავრის უფლებები მოიპოვა.

თავადებმა სამემკვიდრეოდ დაიჩემეს დიდი თანამდებობები (სახლთუხუცესი, მდივანბეგი, სარდალი, მოურავი და სხვა), რაც ფეოდალური რენტის მიღების ერთ-ერთი წყარო იყო. თავადი ადმინისტრაციულ საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით სარგებლობდა. ადმინისტრაციული შეუვალობა იმაში გამოიხატებოდა, რომ, ჩვეულებრივ, სათავადოში ცენტრალური ხელისუფლების მოხელეები ვერ შედიოდნენ. თავადის სასახლისა და მამულის მართვა-გამგეობა სამეფო კარის მიბაძვით იყო მოწყობილი. თავადის მოხელეები იყვნენ:სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ზინდართუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, ბოქაულები, იასაულები, მდივანი და სხვა. თავადი მოხელეებად თავისსავე აზნაურებს და მსახურებს ნიშნავდა. მას აზნაურებისა და მსახურებისაგან შემდგარი სამხედრო და საპოლიციო რაზმები ჰყავდა, რომელთა საშუალებით ერთი მხრივ სამეფო ლაშქარში გამოდიოდა, მეორე მხრივ კი მორჩილებაში ჰყავდა გლეხობა. თავადის და მისი ყმა-მამულის მთავარი მოვალეობა მეფე-მთავრებისადმი ლაშქარ-ნადირობა იყო. გარდა ამისა, თავადის მამულს ედო „სახელმწიფო კოდის პური“, საური, საბალახე და სხვა. ზოგიერთი თავადის ყმაგლეხობა ერთი ან ორი სახის გადასახადს იხდიდა, ზოგჯერ თავადის ყმების მხოლოდ ერთი ნაწილი იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, ზოგიერთი თავადის ყმა-მამული კი სულ თავისუფლდებოდა ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან. განსაკუთრებით გაფართოვდა საგადასახადო შეუვალობა XVII საუკუნის საქართველოში. თავადის სასამართლო შეუვალობა, კანონის თანახმად, სამოქალაქო საქმეებით იფარგლებოდა. მაგრამ რთული საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის ვითარებაში სახელმწიფო ნორმა ირღვეოდა, თავადები თვითნებობდნენ, ხშირად „დამნაშავე“ გლეხებს ახეიბრებდნენ, ზოგჯერ კლავდნენ კიდეც, ან ოსმალებსა და ირანელებზე ყიდდნენ. გლეხების გაყიდვა განსაკუთრებით ხშირი იყო დასავლეთ საქართველოში. თავადების თვითნებობა და სისასტიკე იწვევდა გლეხთა მღელვარებას და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

თავადის სახლს ჰქონდა მეფისაგან ნაბოძები „სახლისკაცობის რიგი და და წესი“, სადაც ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსისა და სხვა წევრების უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვა. თავადის სახლს თავისი „უფროსი და პატრონი“ ჰყავდა, რომელსაც მეფე ნიშნავდა „სახლისკაცების ნებაყოფლობით“, თუმცა ხშირად იძულებული იყო სალისკაცების მიერ არჩეული ან თავისით „დამჯდარი“ სახლის უფროსი ეცნო. ეს იყო სიუზერენის მიერ ვასალის შეწყალება-დალოცვის წესის გადმონაშთი. სახლის უფროსს — თავადი, ხოლო სახლისკაცებს თავადიშვილები ეწოდებოდათ. სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში. მას ეკითხებოდა მამულის მართვა-გამგეობა, ურთიერთობა მეფესთან, მეზობელ თავადებთან და სხვა. სახლის უფროსი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით თავადიშვილზე მაღლა იდგა. მისი სისხლი ორჯერ მეტად იყო შეფასებული, ვიდრე სალისკაცისა. ყმა-მამულის შემოსავლიდან ორი წილი მიჰქონდა სახლის უფროსს, თითო — სახლისკაცებს. თავადის სახლში ხშირად იყო ბრძოლა სახლის უფროსობისა და შემოსავლის წილისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, საქართველოში თავადთა 3 კატეგორია იყო: 1. დიდებული თავადი 2. შუა თავადი და 3. დაბალი თავადი ანუ მესამე თავადი პირველი კატეგორიის სისხლი 1536 თუმნად, მეორისა 768, ხოლო მესამისა 384 თუმნად იყო შეფასებული. სამართლის წიგნი დიდებულობის ორ კრიტერიუმს ასახელებს: სახლის განუყოფლობა და შესაბასი სიგელი. ვახტანგ VI-ის დროიდან გიორგი XII-მდე ეს კრიტერიუმები მხოლოდ 6 გვარმა დააკმაყოფილა: ამილახვარი, თარხან-მოურავი, მუხრანბატონი, ქსნის ერისთავი, ციციშვილი, ჯამბაკურ-ორბელიანი, ხოლო არაგვის ერისთავი მეფე ერეკლე II-მ კახეთს გადაასახლა და მე-3 ხარისხამდე დააკნინა. იმერეთში უფრო ცვალებადი ვითარება იყო, თუ XVII საუკუნის შუა წლებისათვის — დიდებულებად ითვლებოდა აბაშიძე, რაჭის ერისთავი, წერეთელი, ჩიჯავაძე და წულულიძე, სოლომონ II-ის დროს კი ფაქტობრივად მხოლოდ წერეთლები და აბაშიძენი იყვნენ დიდებულები. კახეთის დიდებული თავადები იყვნენ მხოლოდ ჩოლოყაშვილები და ანდრონიკაშვილები. დიდებული თავადები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო საქმეებზე, ხშირად მეფის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში ერეკლე II-მ სცადა შეეზღუდა თავადების თვითნებობა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია: გააუქმა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, ამილახვართა მამულის ნაწილი ნასისხლად აიღო თავისთვის, რამდენადმე აღადგინა „ბატონყმური რიგი“, შეზღუდა ცალკეულ თავადთა შეუვალობა. ანალოგიური ღონისძიებების გატარებას ცდილობდა XVIII საუკუნის შუა წლებში დასავლეთ საქართველოში სოლომონ I. მან გაანადგურა რაჭის ერისთავი და ზოგიერთი სხვა მოღალატე თავადი, აბაშიძეებს ჩამოართვა მამულის ნაწილი და სამეფო მამულს შეუერთა და სხვა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა რამდენადმე გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში.

XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცვლილებები მოხდა თავადთა წოდებაშიც. მნიშვნელოვნად შეიზღუდა თავადების შეუვალობა, მათ დაკარგეს პოლიტიკური უფლებები. თავადების ვასალობიდან განტავისუფლდნენ აზნაურები, ორგანიზაციულად გაფორმდა თავად-აზნაურთა წოდება.

ლიტერატურა

- *ჯამბურია გ.*, ქსე, ტ. 4, გვ. 561-562, თბ., 1979

იმამი

იმამი აღნიშნავს მაჰმადიანთა სულიერ წინამძღოლს, მოძღვარს. იმამი შეიძლება აგრეთვე იყოს მაჰმადიანური სახელმწიფოს მეთაურიც, რომლის ხელშიც მოქცეულია საერო და სასულიერო ხელისუფლება.

იმპერატორი

იმპერატორი (ლათ. *imperator* – მბრძანებელი) — მონარქის ტიტული. თავდაპირველად იმპერატორის საპატიო ტიტული რომაელ მხედართმთავრებს ენიჭებოდათ. ავგუსტუსუს დროიდან იმპერატორად იწოდებოდა რომის სახელმწიფოს მემკვიდრეობითი მეთაური, შემდეგში იმპერატორის ტიტული ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მონარქებმაც მიიღეს (ტერმინი „იმპერატორი“ არაევროპული ქვეყნების მონარქთა მიმართაც გამოიყენება — მაგ., ჩინეთის იმპერატორი — 1911-მდე, იაპონიის იმპერატორი).

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 117, თბ., 1980 წელი.

მეფე

ცხრა ევროპელი მონარქი, რომლებიც ესწრებოდნენ ბრიტანეთის მეფის ედუარდ VII-ს დაკრძალვას ესწრებოდნენ. 1910 წლის 20 მაისი

მეფე — მონარქიული სახელმწიფოს მეთაურის ქართული წოდებულება. მეფის ხელისუფლება წარმოიშვა ტომის ბელადის ძალაუფლებიდან გვაროვნული წესწყობილების დაშლის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდში. ასეთი პროცესი საქართველოში ძვ. წ. II–I ათასწლეულის მიჯნაზე განვითარდა. მეფის თავდაპირველი წოდებულება უნდა ყოფილიყო „მეუფეჲ მამასახლისი“, საიდანაც მარტივად „მეუფეჲ“, ბოლოს კი „მეფე“ წარმოდგა. ახ. წ. VI საუკუნეში სპარსელებმა და ბიზანტიელებმა საქართველოში მეფის ხელისუფლება გააუქმეს. მეფობის აღდგენის შემდეგ, IX საუკუნის დაასრულს „ქართუელთა მეფის“ ტიტული პირველად ადარნასე II ბაგრატიონმა მიიღო. ფეოდალურ საქართველოს თანდათანობითი გაერთიენების კვალობაზე ჩამოყალიბდა ქართველ მეფეთა წოდებულება — „მეფეთა-მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, რანთა და კახთა“. მეფის ხელისუფლება საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისამდე — ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების რუსეთთან შეერთებამდე არსებობდა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო გიორგი XII, იმერეთისა — სოლომონ II.

თანამედროვე სახელმწიფოებიდან სამეფოს სტატუსით არსებობს, მაგ., დიდი ბრიტანეთი, ბელგია, შვედეთი, იორდანია.

ლიტერატურა

- *ფუტკარაძე ი.,* ქსე, ტ. 6, გვ. 622, თბ., 1983

რესურსები ინტერნეტში

- Archontology [1]
- African Kingdoms Imperial Throne Leadership and Enthronements [2]
- Imperial House Foundation – Africa/USA/Europe – interview [3]

მინიშნებები

[1] http://www.archontology.org
[2] http://imperialafrica.net
[3] http://imperialafrica.net/_wsn/page10.html

სულთანი

სულთანი (არაბ. سلطان) — მაჰმადიანური წოდება, რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობით. თავდაპირველად ეს სიტყვა არაბულში აბსტრაქტული ზედსართავი იყო და ნიშნავდა „ძალას“, „ავტორიტეტს“ ან „მმართველობას“, წარმოებული არაბული სიტყვიდან سلطة - *სულთაჰ*. მოგვიანებით ის ზოგიერთი მაჰმადიანი მმართველის წოდება გახდა, რომელსაც აბსოლუტური ძალაუფლება ეპყრა ხელთ.

სულთანი მეჰმედ II

რესუესები ინტერნეტში

- RoyalArk - see each nation, e.g. here Oman [1]
- WorldStatesmen - see each present nation [7]

ეს არის სტატიის ან სექციის
ესკიზი.
თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ იგი [2].

მინიშნებები

[1] http://royalark.net/Oman/oman.htm
[2] http://en.wikipedia.org/wiki/:სულთანი

ფაშა

ფაშა (თურქ. paşa) — უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ტიტული ოსმალთა იმპერიაში. XIX საუკუნის რეფორმებისა (თინზიმათი) და რეგულარული ჯარის შექმნის შემდეგ ფაშა გენერლებისა და მინისტრების საპატიო ტიტული გახდა. მას რესპუბლიკურ თურქეთში მხოლოდ გენერლებს ანიჭებდნენ; 1934 წლიდან გაუქმდა. ოსმალეთის იმპერიის დაშლის (1918) შემდეგ ეგვიპტეში შემორჩა 1952 წლის ივლისის რევოლუციამდე, ერაყში — 1958 წლის ივლისის რევოლუციამდე.

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 342, თბ., 1986 წელი.

შაჰი

შაჰი (სპარსულად: ﺷﺎﻫ, ძველსპარსული სიტყვიდან "ხშათრა-ფავა" — "მეფე"; ძველბერძნული — "სატრაპი") — მონარქის აღმნიშვნელი სიტყვაა სპარსულ ენაში.

კიროს II დიდი, სპარსეთის პირველი შაჰი.

- სპარსეთის და სპარსეთის იმპერიის მონარქების ტიტული. მისი ევროპული შესატყვისია "მეფე" (სპარსეთის სამეფოს ხანაში) ან "იმპერატორი" (სპარსეთის იმპერიის / ირანის იმპერიის ხანაში). უკანასკნელმა ირანის შაჰმა, მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, კორონაციის დროს მიიღო "შაჰინშაჰის" -"ﺷﺎﻫﻨﺸﺎﻫ" (იმპერატორი / "მეფეთა მეფე") ტიტული.
- ავღანეთის მმართველთა ტიტული XVIII-XX ს.ს.-ში (1973 წლამდე).

რესურსები ინტერნეტში

- სიტყვების ეტიმოლოგიები [1]

მინიშნებები

[1] http://www.etymonline.com/index.php?search=shah&searchmode=none

ხალიფა


ოსმალეთის სახალიფო

ხალიფა (არაბ. خليفة, მოადგილე, ნაცვალი, მემკვიდრე) — მუსლიმანური თემისა და მუსლიმანური თეოკრატიული სახელმწიფოს (სახალოფოს) სასულიერო და საერო ხელმძღვანელი, ხალიფები ითვლებოდნენ ალაჰის მოციქულის – მაჰმადის მოადგილეებად, ხოლო ომაიანებიდან დაწყებული – თვით ალაჰის მოადგილეებად დედამიწაზე. X საუკუნის I ნახევრიდან ხალიფას ტიტულს აბასიანთა გარდა იღებენ აგრეთვე ფატიმიდები და ესპანეთის ომაიანები. აბასიანთა სახალიფოს დაცემის შემდეგ (XIII საუკუნე) ხალიფას ტიტულს ატარებდნენ ზოგიერთი მუსულმანური სახელმწიფოს მეთაურები – სულთნები (მაგ. ოსმალეთის), რომლებიც სასულიერო სუვერენიტეტის პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიოს ყველა მუსლიმანზე.

პირველი ხალიფები

- აბუბაქარი (632–634)
- ომარი (634–644)
- ოსმანი (644–656)
- ალი (656–661)

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, გვ. 419, თბ., 1987 წელი.

ცარი

პეტრე დიდი, რუსეთის ცარი

ცარი (*რუს.* Царь, *ბულგ.* Цар, *სერბ.* Цар) — სიტყვის ფართო გაგებით ნიშნავს სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს. იგი მონარქის ტიტულია. XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს ტიტული ზოგჯერ იმპერატორის სინონიმადაც გამოიყენებოდა. მაგ.: ცარს უწოდებდნენ მაკედონიის და ბულგარეთის მეფეებს, იაპონიის და ძველი რომის იმპერატორებს.

სიტყვის ვიწრო გაგებისთ «ცარი» (მომდინარეობს ლათ. Caesar, რუს. Цезарь-იდან) რუსი მონარქების მთავარი ტიტულია 1547-1721 წლებში.

«ცარი» იყო აგრეთვე ბულგარეთის (893-1014, 1085-1396, 1908-1946) და სერბეთის (1346-1371) მმართველების ოფიციალური ტიტული.

1547 წლამდე მოსკოვის სახელმწიფოს სათავეში იდგა დიდი კნიაზი. ტიტული «ცარი», როგორც სხვა რუს კნიაზებზე უზენაესობის სიმბოლო პირველად მიიღო ივან მრისხანემ. «ცარის» ტიტულით რუსი მონარქები ხაზს უსვამდნენ მათ აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორთა "მემკვიდერეობას".

1721 წელს პეტრე I-მა თავის უმთავრეს ტიტულად იმპერატორის ტიტული მიიღო. არაოფიციალურად, ხალხთა მასებში ტიტული «ცარი» განაგძობდა გამოყენებას 1917 წლის თებერვლამდე.

ცარის ოჯახის ტიტულები

- ცარიცა (Царица) — ცარის მეუღლე, ან მმართველი ქალი.
- ცესარევიჩი (Цесаревич) — მამრობითი სქესის მემკვიდრე. სრული ტიტულია «მემკვიდრე ცესარევიჩი» (Наследник Цесаревич).
- ცარევიჩი (Царевич) — ცარის ან ცარიცას ვაჟი. გამოიყენებოდა აგრეთვე შვილიშვილების მიმართაც.
- ცარევნა (Царевна) — ცარის ან ცარიცას ქალიშვილი.
- ცესარევნა (Цесаревна) — ცესარევიჩის მეუღლე.

ლიტერატურა

- John V.A. Fine, Jr., *The Early Medieval Balkans*, Ann Arbor, 1983
- John V.A. Fine, Jr., *The Late Medieval Balkans*, Ann Arbor, 1987
- Robert O. Crummey, *The Formation of Muscovy 1304–1613*, New York, 1987
- David Warnes, *Chronicle of the Russian Tsars*, London, 1999
- Matthew Lang (Editor), *The Chronicle - $10 Very Cheap*, Sydney, 2009/10

რესურსები ინტერნეტში

- Detailed List of Roman and Byzantine Rulers [1]
- Detailed List of Bulgarian Rulers [2]
- Detailed List of Russian Rulers [3]
- Detailed List of Serbian Rulers [4]
- Detailed List of Georgian Rulers [5]
- The entry on *tsar* [6]

მინიშნებები

[1] http://sitemaker.umich.edu/mladjov/files/romanemperors2.pdf
[2] http://sitemaker.umich.edu/mladjov/files/bulgarian_rulers.pdf
[3] http://sitemaker.umich.edu/mladjov/files/rus_monarchs.pdf
[4] http://sitemaker.umich.edu/mladjov/files/serbian_rulers.pdf
[5] http://sitemaker.umich.edu/mladjov/files/medieval_georgia.pdf
[6] http://encyclopedia.jrank.org/TOO_TUM/TSAR_or_CZAR.html

სახელმწიფო და საზოგადოება

ჯარი

ქათველი ჯარისკაცები დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე. რუსთაველის გამზირი, თბილისი, 26 მაისი, 2008 წელი. რობ სინკლერის სურათი.

ჯარი იგივეა რაც არმია. ჯარი კრებითი სახელწოდება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა, რომელიც აერთიანებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალებს (ჯარებს). ჯარის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს შეიარაღებული ბრძოლის წარმოება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ჯარი ემორჩილება უმაღლეს მთავარსარდალს, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს ქვეყნის მეთაური. ჯარის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური შტაბი, რომელიც უფლებამოსილია შეიმუშავოს ოპერაციის (ბრძოლის) გეგმა და უხელმძღვანელოს მის წარმოებას დაქვემდებარებული შტაბების საშუალებით.

ლაშქარი

ლაშქარი, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისაგან (უმთავრესად მოხალისეებისაგან) შექმნილი სამხედრო ფორმირება. ლაშქარი, როგორც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა მასების ჩაბმის ფორმა, ცნობილია უძველესი დროიდან. ლაშქარს უწოდებენ აგრეთვე შუა საუკუნეების მილიციის ტიპის სამხედრო ფორმირებებს (რაინდთა, აზნაურთა და საქალაქო ლაშქარი). XVII საუკუნის დასაწყისში სახალხო ლაშქარმა კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის მეთაურობით უდიდესი როლი ითამაშა პოლონელი და შვედი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

- რევოლუციამდელ რუსეთში (1874-1917) სამხედრო ვალდებულთა კატეგორიას, რომელსაც იწვევდნენ ომის დროს, ეწოდებოდა სახელმწიფო ლაშქარი.
- ფეოდალურ საქართველოში ლაშქარი ეწოდებოდა როგორც ფეოდალურ ჯარს (ფეოდალებსა და მსახურებს), ისე ჯარის ფეოდალურ ზედაფენას. სახალხო ლაშქარი („ჯარი-ხალხი“) ფეოდალიზმის გამარჯვებასთან ერთად გაქრა. მისი გაწვევა ხდებოდა მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში. ასეთ დროს იწვევდნენ ყველა სრულწლოვან მამაკაცს („ქუდზე კაცი“). გვიანდელ შუა საუკუნეებში ლაშქრის გაწვევა გახშირდა „ლეკიანობისა“ და ოსმალეთ-სპარსეთის შემოსევების გამო („მდევარი“, „ყარაული“ და ა.შ.). რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის და რუსეთ-ირანის ომებში მონაწილეობდნენ ქართული ლაშქრის (მოხალისეების) ანუ ქართული მილიციის მრავალრიცხოვანი შენაერთები, რომლებმაც მამაცური ბრძოლისთვის არაერთი ჯილდო დაიმსახურეს.

ლიტერატურა

- *შაიშმელაშვილი ი.*, ქსე, ტ. 6, გვ. 149, თბ., 1983

ომი

ომი — სახელმწიფოებს შორის არსებული კონფრონტაციის გადაწყვეტა სამხედრო ძალადობის გზით. ომის წარმოებაში უმთავრეს როლს ასრულებენ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და გასამხედროებული ფორმირებები, რომლის პარალელურად მეომარი მხარეები აწარმოებენ დიპლომატიურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ბრძოლებს დაპირისპირებულ მხარეებთან. ომის წამოწყების მიზეზი შეიძლება გახდეს გადაუჭრელი საკითხები ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, ტერიტორიულ, რელიგიურ და სხვა სფეროებში. ომი – ეს არის პოლიტიკის გაგრძელება. თავისი მასშტაბებით ომი შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული, მსოფლიო. საერთაშორისო კანონების მიხედვით ომის წამოწყება გამოუცხადებლად, ითვლება დანაშაულად. შეიარაღებული კონფლიქტისგან განსხვავებით, ომის მასშტაბები გაცილებით დიდია, როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში არ არსებობს ზუსტი კლასიფიკაცია იმისა, თუ რით განსხვავდება ომი შეიარაღებული კონფლიქტისაგან. ომი შეიძლება იყოს ხანმოკლე (რამდენიმე დღიანი) და ხანგრძლივი (რამდენიმე ათეულ წლამდე).

ოკუპაცია

ოკუპაცია (ლათ. *occupatio*) — რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება. ოკუპაცია უნდა გავმიჯნოთ ანექსიისაგან, რომელიც ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის სრულ ან ტერიტორიის ნაწილის ძალით მიერთებას გულისხმობს.

ლიტერატურა

- Occupied territory - the legal issues [1] , legal provisions regarding occupation of territory by hostile power and implications for people protected by IHL.
- David Kretzmer, *Occupation of Justice: The Supreme Court of Israel and the Occupied Territories*, State University of New York Press, April, 2002, trade paperback, 262 pages, ISBN 0-7914-5338-3; hardcover, July, 2002, ISBN 0-7914-5337-5
- Sander D. Dikker Hupkes, *What Constitutes Occupation? Israel as the occupying power in the Gaza Strip after the Disengagement*, Leiden: Jongbloed 2008, 110 pages, ISBN 9789070062453 Openacces [2]
- Belligerent Occupation [3]
- The Law of Belligerent Occupation [4] Michal N. Schmitt (regarding occupation of Iraq)
- Law of Belligerent Occupation [5], Judge Advocate General's School, United States Army

მინიშნებები

[1] http://www.icrc.org/Web/Eng/siteeng0.nsf/htmlall/section_ihl_occupied_territory
[2] https://openaccess.leidenuniv.nl/bitstream/1887/13159/2/What+Constitutes+Occupation.pdf
[3] http://lawofwar.org/Occupation.htm
[4] http://www.crimesofwar.org/print/onnews/iraq5-print.html
[5] http://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/law-of-belligerent-occupation_11.pdf

ეთნოსი

ეთნოსი (ბერძ. ἔθνος - ზნე, ჩვეულება, ადათი), ჰომეროსის მიხედვით, ადგილსამყოფელი, საცხოვრებელი, კერა, კარავი. ეთნოსით აღინიშნება აგრეთვე ჩვევა, მიდრეკილება, ადათი, წესრიგი და ხასიათი, როგორც რისამე თავისებურება, ნიშანი, თვისება. მოგვიანებით სიტყვა "ეთნოსს" ეძლევა ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. მაგ., ესქილე, სოფოკლე, ჰერაკლიტე, პლატონი და არისტოტელე მას ხმარობდნენ ზმნის, სულიერი წყობის აღმნიშვნელად. აქედან გამომდინარე, შემდგომში ჩამოყალიბდა ეთნოსის საკუთრივ ზნეობრივი მნიშვნელობა. იგი არის ხასიათის შეძენილი ნიშანი, რომელიც ეთიკური შეფასების ობიექტი ხდება.

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 59, თბ., 1979 წელი.

სახელმწიფო

სახელმწიფო — განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაცია ეკონომიკურად გაბატონებული კლასისა მთელი ქვეყნის ფარგლებში უმაღლესი ძალაუფლების განსახორციელებლად.

ეს განმარტება აშკარად მარქსისტულია, რომელიც რა თქმა უნდა დამახინჯებაა სახელწიფოს, როგორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენის ასახვისა. შედარებით თანამედროვე სამართელბრივი და პოლიტიკური სახელწიფოს ცნება შორსაა მარქსისტული გაგებისაგან.

სახელმწიფო ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

ციტატები

„სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია გარკვეულ ტერიტორიაზე ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება“

(მაქს ვებერი)

ცივილიზაცია

ცივილიზაცია ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურულ-ისტორიულ კატეგორიაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ყურადღება ხალხებიდან და ქვეყნებიდან გადატანილ იქნა უფრო დიდ სტრუქტურებსა და პროცესებზე, რომლებიც ცივილიზაციის მასშტაბებში გაიაზრება. ო. ანდერლეს სიტყვით, კვლევის მიზნად იქცევა არა იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა, არამედ როგორ ხდებოდა, ანუ პროცესების წარმმართველი კანონზომიერებების შესწავლა. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება იმის გამო, რომ ვიცით "სულ უფრო მეტი სულ უფრო ნაკლების შესახებ", საკმაოდ ვიცით რა "ხეების" შესახებ, ცოტა რამ თუ ვიცით "ტყეზე".

ქალაქები ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია.

იზრდება ინტერესი ლოკალური ცივილიზაციებისადმი, რომელთა ურთიერთობა არსებით გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიულ პროცესზე. ინტერესის ზრდა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, "ცივილიზაციათა შეჯახების" მოლოდინთან, მისი საფრთხის გაცნობიერებასთან, მეორე მხრივ - სწორხაზობრივი ცივილიზაციური მოდელების, მათ შორის, მარქსისტული ფორმაციული თეორიის კრიტიკასთან.

ამდენად, ცივილიზაციის ფენომენისადმი ინტერესის ზრდა განპირობებულია როგორც წმინდა აკადემიური, ასევე პრაქტიკული ინტერესით.



პართენონი ათენში კლასიკური ბერძნული ცივილიზაციის ნიმუშია.

ცივილიზაციის ცნების განვითარება

ტერმინ "ცივილიზაციის" დამამკვიდრებლის პატივს დღემდე ერთმანეთს ეცილებიან ფრანგები და ინგლისელები. ორივე ენაში ზმნა "civiliser" – "to civilize" და ზმნიზედა "civilized" შესაბამის არსებით სახელზე ბევრად ადრე გაჩნდა.

იმ დროს, როცა წარმოიშვა ტერმინი "ცივილიზაცია", ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შემეცნება ემყარებოდა წარმოდგენას ერთიან და ერთგვაროვან საკაცობრიო ცივილიზაციაზე, და არა რელატივისტურ თვალსაზრისს ეთნიკურ ან ისტორიულად არსებულ ცივილიზაციებზე. მის

მაჩუ პიკჩუს ნანგრევები ინკების დაკარგული ცივილიზაციის სიმბოლოა.

საფუძვლად და სათავედ ცხადდებოდა დაგროვილი გამოცდილება, მიწის საკუთრება, ადამიანის მიჯაჭვა მიწაზე, ვაჭრობა, სიმდიდრის დაგროვება ან რომელიმე სხვა ფაქტორი, პირველ რიგში – ადამიანის გონების სრულყოფა. ცივილიზაციის მახასიათებლებსა და სათავეებზე კამათობდნენ, ხანდახან – ცხარედაც, მაგრამ შეხედულება ცივილიზაციაზე, როგორც საერთო-საკაცობრიო ფენომენსა და კაცობრიობის საერთო მომავალზე, ეჭვს არ იწვევდა.

შოტლანდიელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ა. ფერგიუსონმა (1723-1816) პირველმა გამოიყენა ცივილიზაციის ცნება მსოფლიო-ისტორიული პროცესის *განსაზღვრული საფეხურის* აღსანიშნავად.

XIX საუკუნის დასაწყისში ისტორიის მონისტური ინტერპრეტაცია პლურალისტურმა შეცვალა. ლ. ფევრის თანახმად, სიტყვა "ცივილიზაცია" პირველად მრავლობით რიცხვში 1819 წელს იქნა გამოყენებული, რაც ცივილიზაციური წყობის მრავალფეროვნების აღიარების დასაწყისი იყო. "მოგზაურობათა ეპოქაში" დაგროვილმა მასალამ ცხადყო კულტურათა და ცივილიზაციათა მრავალსახეობა მსოფლიოში, აგრეთვე მათი განვითარების სასრულობა. ლ.ფევრის მოხდენილი ნათქვამით, "ადამიანებმა, რომლებმაც გამოიარეს რევოლუცია და იმპერია, გაიგეს ის, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ წინაპრებს; მათ გაიგეს, თანაც არა წიგნებიდან, რომ ცივილიზაცია შეიძლება მოკვდეს". მოგვიანებით ჟ. ა. დე გობინო წერდა: "ცივილიზაციათა დაცემა ისტორიულ ფენომენთაგან ყველაზე უცნაური და, ამავე დროს, იდუმალებით მოცული რამაა".

მოგზაურთა, ლინგვისტთა, მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით, ცნება "ცივილიზაციის" შინაარსი გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა. რესტავრაციის ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა ცივილიზაციის მეტ-ნაკლებად მწყობრ თეორიებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ჩამოყალიბდა ცივილიზაციის რაობის რადიკალურად განსხვავებული გაგება, რომლის თანახმად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მრავალფეროვნება ადასტურებს **ცივილიზაციის ფორმათა მრავალგვარობას**; არ არსებობს საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია, როგორც განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელსაც კაცობრიობის ერთმა ნაწილმა მიაღწია, მეორე კი მისკენ მიემართება. კაცობრიობის სხვადასხვა ნაწილი განვითარების სხვადასხვა გზას გადის და არავითარი საერთო, საყოველთაო ხაზი აქ არ არსებობს. საფუძველი ჩაეყარა **ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიებს**, რომელთა წარმომადგენლები არ იზიარებენ კაცობრიობის საერთო პროგრესის იდეას. ეს თეორიები წარმოადგენდა სავსებით ლოგიკურ რეაქციას ევოლუციონიზმსა და ევროპოცენტრიზმზე, თუმცა ამ უკანასკნელთ, ცხადია, არსებობა არ შეუწყვეტიათ; შემდგომში ევოლუციონიზმისა და, განსაკუთრებით, ნეოევოლუციონიზმის წარმომადგენლებმა არაერთი საინტერესო არგუმენტით სცადეს თავიანთი თვალსაზრისის განმტკიცება, ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიების თანამედროვე ვერსიები კი მსოფლიოს ცივილიზაციური ხედვის სახით ჩამოყალიბდა.

ცივილიზაციის ცნების ინტერპრეტაციები

დღეს საუბარი შეიძლება ცივილიზაციის ცნების სამ ძირითად ინტერპრეტაციაზე:

1) ლოკალურ-ისტორიული (ნ. დანილევსკი, ო. შპენგლერი, ა.ტოინბი, ს.ჰანთინგტონი და სხვ.). დასახელებული მკვლევარები სხვადასხვა რაოდენობისა და სახელწოდების ცივილიზაციებს ითვლიან და მათი ურთიერთობაც სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ, თუმცა მათ აერთიანებთ ცივილიზაციის ერთგვაროვანი გაგება.

2) ისტორიულ-სტადიური, რომელიც, ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით, განარჩევს სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციებს: ზეპირ, წერილობით, წიგნისა და ეკრანის; კოსმოგენურ, ტექნოგენურსა და ანთროპოგენურს; ტრადიციულსა და თანამედროვეს; ევოლუციურსა და ინოვაციურ ცივილიზაციებს და სხვ. გვხვდება ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა "შუბის ცივილიზაცია", "მშვილდ-ისრის ცივილიზაცია" და ა.შ.

3) მსოფლიო-ისტორიული, რომლის თანახმად, ლოკალურ ცივილიზაციათა ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე ჩნდება მსოფლიო ისტორიის ფენომენი. ამ ინტერპრეტაციის ფარგლებში თავსდება ცივილიზაციის გაგება როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფეხურისა, რომელიც მოსდევს ველურობისა და ბარბაროსობის საფეხურებს (ლ.ჰ.მორგანი, ფ.ენგელსი); საკაცობრიო ცივილიზაციის სამი ტალღის (აგრარული, ინდუსტრიული და ინფორმაციული) კონცეფცია (უ. როსტოუ, დ. ბელი, ო. ტოფლერი); აგრეთვე კაცობრიობის ისტორიული განვითარების სქემები, შემუშავებული კ. იასპერსისა და შ. იტოს მიერ.

რა არის ცივილიზაცია? მისი კვლევა

ცივილიზაციის განსაზღვრის სირთულე რამდენიმე მომენტითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რთულია თავად ცივილიზაციის შემადგენლობა. თითოეულ მათგანში მიმდინარეობს დაძაბული შინაგანი ბრძოლა ბუნებრივი და ადამიანური რესურსებისათვის, ჰეგემონიისათვის იდეოლოგიისა და რელიგიის სფეროში. ამასთან, ამ ბრძოლაში ცალკეული ჯგუფები თუ კოალიციები ეძებენ გარეშე მხარდაჭერას ცივილიზაციელ თანამოძმეთა წინააღმდეგ. ამის მაგალითს იძლევა XX საუკუნის არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციის ისტორია.

გარდა ამისა, ცივილიზაციას შინაგანი დინამიკურობა ახასიათებს. ძველი თავისებურებანი ქრება, ჩნდება ახალი. თავს იჩენს გარედან მოსული და შინაგანი იმპულსების, რაციონალიზმისა და ტრადიციონალიზმის ურთიერთქმედების რთული პროცესი. იცვლება ცივილიზაციათა საზღვრები. ისიც უნდა ითქვას, რომ ოიკუმენა არ იყოფა ცივილიზაციებად ნაშთის გარეშე. იგი მოიცავს ცივილიზაციის მიღმა, ცივილიზაციათაშორის და ცივილიზაციათა თანხვედრის არეალებსაც.

როგორც ჩანს, ამ სირთულეებითაა განპირობებული სკეპტიკური დამოკიდებულება ცივილიზაციის კონცეფციებისადმი. ამერიკელი ისტორიკოსი ჰ. მორგენთაუ აღნიშნავდა, რომ ეს კონცეფციები მოკლებულია ემპირიულ მკაფიობას, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ უპირატესობა ენიჭება ისტორიის კვლევას უფრო პოლიტიკური და გეოგრაფიული, ვიდრე ცივილიზაციური თვალსაზრისით, რადგან ისინი უფრო ექვემდებარება ემპირიულ შემოწმებას, ვიდრე ცივილიზაცია. ფრანგი სოციოლოგი რ. არონი უფრო შორსაც მიდიოდა და წერდა: პრობლემის არსი ისაა, რომ შეუძლებელია ვუპასუხოთ კითხვას - არსებობს თუ არა ცივილიზაცია როგორც ისტორიული რეალობა, თუ იგი ისტორიულ ქიმერად უნდა მივიჩნიოთო.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ინტერესი ცივილიზაციური პრობლემატიკისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ ცივილიზაციური თეორიის საჭიროება ეჭვქვეშ ნაკლებად დგება.

რესურსები ინტერნეტში

- მსოფლიო ცივილიზაციები [1]
- რატომ ეცემიან ცივილიზაციები? [2]

მინიშნებები

[1] http://www.wsu.edu:8080/~dee/WORLD.HTM
[2] http://www.learner.org/exhibits/collapse/

სტატიის წყაროები და ავტორები

ამირა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2048352 *რედაქტორები*: Giorgi Maruaschwili, Island, Zangala, გიორგი მარუაშვილი, პაატა შ, 1 ანონიმური რედაქტირებები

აზნაური *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2071415 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Kober, Zangala, 5 ანონიმური რედაქტირებები

ბარონი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2006692 *რედაქტორები*: Island, Zangala

გრაფი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2137791 *რედაქტორები*: Island, Otogi, Zangala, გიორგი მარუაშვილი, 1 ანონიმური რედაქტირებები

ვეზირი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2063327 *რედაქტორები*: Gota, Zangala, Zolokin, პაატა შ

თავადი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1837128 *რედაქტორები*: Island, MIKHEIL, Zangala, გიგა, 3 ანონიმური რედაქტირებები

იმამი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2154231 *რედაქტორები*: Ardiedan1995, Bachana, Island

იმპერატორი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2131427 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Jaba1977, Otogi, Trulala, Ventusa, Zangala

მეფე *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2159665 *რედაქტორები*: Dave, Giorgi13, Island, Zangala, გიგა, პაატა შ

სულთანი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2131428 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Ventusa, პაატა შ

ფაშა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2085284 *რედაქტორები*: Leovizza

შაჰი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1960762 *რედაქტორები*: Giorgi Maruaschwili, Island, Jaba1977, Melberg, Ventusa, Zangala, ავთანდილ, გიგა, 1 ანონიმური რედაქტირებები

ხალიფა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2015497 *რედაქტორები*: Giorgi gusharashvili, Island, Jaba1977

ცარი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2114018 *რედაქტორები*: Alsandro, MIKHEIL, Nika 243, Nêçîrvan, Rastrelli F, Tamok, Ventusa, გიორგი მარუაშვილი, მოცარტი, პაატა შ, 1 ანონიმური რედაქტირებები

ჯარი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1998083 *რედაქტორები*: Alsandro, Bachana, Island, Melberg, Otogi

ლაშქარი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1320544 *რედაქტორები*: BRUTE, Geagea, Island, Zangala

ომი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2124183 *რედაქტორები*: Bachana, Island, Purbo T, Rastrelli F, Trulala, Unmerklich, 2 ანონიმური რედაქტირებები

ოკუპაცია *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1941059 *რედაქტორები*: Nodar Kherkheulidze, Unmerklich, Ventusa, პაატა შ

ეთნოსი *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2100916 *რედაქტორები*: Bejanbejani, MIKHEIL, პაატა შ

სახელმწიფო *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2128753 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Khatia, Lawyer, MIKHEIL, Nodar Kherkheulidze, Zangala, პაატა შ, 1 ანონიმური რედაქტირებები

ცივილიზაცია *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2065600 *რედაქტორები*: Alsandro, ხინჩო

Image Sources, Licenses and Contributors

ფაილი:Shuja Shah Durrani of Afghanistan in 1839.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Shuja_Shah_Durrani_of_Afghanistan_in_1839.jpg *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: James Rattray (1818-1854)

ფაილი:Sadrazamlik-nisanlari.svg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Sadrazamlik-nisanlari.svg *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: Juris Tiltins

ფაილი:The Nine Sovereigns at Windsor for the funeral of King Edward VII.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:The_Nine_Sovereigns_at_Windsor_for_the_funeral_of_King_Edward_VII.jpg *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: Carolus, Favonian, Mrlopez2681, 1 ანონიმური რედაქტირებები

ფაილი:Sarayi Album 10a.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Sarayi_Album_10a.jpg *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: Sinan Bey

ფაილი:P wiki letter w.svg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:P_wiki_letter_w.svg *ლიცენზია*: GNU Free Documentation License *რედაქტორები*: cpro

File:Olympic Park Cyrus.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Olympic_Park_Cyrus.jpg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution-ShareAlike 3.0 Unported *რედაქტორები*: Siamax

ფაილი:Ottoman 1683.png *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Ottoman_1683.png *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: AtilimGunesBaydin, David Kernow, Huhsunqu, Nk, Poulpy, Qurqa, Rapsar, Red devil 666, 2 ანონიმური რედაქტირებები

ფაილი:Peter der-Grosse 1838.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Peter_der-Grosse_1838.jpg *ლიცენზია*: Public Domain *რედაქტორები*: Anathema, Butko, Darwinius, Ecummenic, Kilom691, Mathiasrex, Miyokan, Polarlys, Sammyday, Shakko, Sparkit, TheoClarke, Vincent Steenberg, Zoloto-Russland

ფაილი:Georgian soldiers during the independance day of Georgia, Tbilisi (1).jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Georgian_soldiers_during_the_independance_day_of_Georgia,_Tbilisi_(1).jpg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution-Sharealike 2.0 *რედაქტორები*: Rob Sinclair

ფაილი:Manhattan panorama under clouds.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Manhattan_panorama_under_clouds.jpg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution 2.0 *რედაქტორები*: Mathew Spolin

ფაილი:ac.parthenon5.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Ac.parthenon5.jpg *ლიცენზია*: Public domain *რედაქტორები*: Elinnea, Madmedea, Yonatanh, 1 ანონიმური რედაქტირებები

ფაილი:Machu-Picchu.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Machu-Picchu.jpg *ლიცენზია*: GNU Free Documentation License *რედაქტორები*: Chmouel

ლიცენზია

Creative Commons Attribution-Share Alike 3.0 Unported
//creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/